ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტთა წინასწარი რეგისტრაციის შესახებ

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდეს წინასწარი რეგისტრაცია 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის.
2. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს 2013–2014 წლის შემოდგომის სემესტრისთვის წინასწარი რეგისტრაციისთვის აუცილებელი სასწავლო ცხრილის ფორმირება და შესაბამის სტუდენტურ მონაცემთა ბაზაში შეტანა.
3. დაევალოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს წინასწარი რეგისტრაციის გავლა, რაც გულისხმობს შემდეგს:
   3.1. წინასწარი რეგისტრაციის მონაცემთა ბაზაში საგნების არჩევას 2013–2014 წლის შემოდგომის სემესტრისთვის 29.04.2013 – 13.05.2013 პერიოდში;
   3.2. კონსულტაციის გავლას სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან და წინასწარი რეგისტრაციის არჩევანის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას 14.05.2013 – 15.06.2013 პერიოდში;
   3.3. სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან შეთანხმებული წინასწარი რეგისტრაციის შედეგების ხელმოწერით დადასტურებას;
   3.4. ინდივიდუალური სასწავლო ცხრილის ფორმირებას წინასწარი რეგისტრაციის მონაცემთა ბაზაში.
4. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უზრუნველყოს:
   4.1. წინასწარი რეგისტრაციის ჩატარება;
   4.2. წინასწარი რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის;
   4.3. სტუდენტების კონსულტირება, დასარეგისტრირებელი საგნების შეთანხმება და საბოლოო სახით ჩამოყალიბება;
   4.4. სტუდენტის მიერ წინაპირობის ვერ დაკმაყოფილების შემთხვევაში წინასწარი რეგისტრაციის შედეგის გაუქმება სასესიო პერიოდის დასრულების შემდეგ;
   4.5. დადგენილ ვადაში სტუდენტის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვერ/არ გავლის შემთხვევაში წინასწარი რეგისტრაციის შედეგის გაუქმება;
   4.6. წინაპირობის შესრულების შემთხვევაში სტუდენტებისთვის შესაბამისი საგნების გადატანა სტუდენტურ მონაცემთა ბაზაში სასესიო პერიოდის დასრულების შემდეგ.
5. საგანზე სტუდენტის დარეგისტრირებისას პრიორიტეტულად გათვალისწინებული იქნეს
   5.1. რესურსის ხელმისაწვდომობა;
   5.2. სტუდენტის სემესტრი – თუ რამდენად აუცილებელია საგნის მოსმენა დიპლომის მისაღებად;
   5.3. გამოიწვევს თუ არა მიმდინარე სემესტრში მოთხოვნილ საგანზე სტუდენტის არ დარეგისტრირება მის მიერ დამატებითი სემესტრის აღების აუცილებლობას სწავლის დასასრულებლად;
   5.4. სტუდენტის აკადემიური მოსწრება.
6. წინასწარი რეგისტრაციის შედეგების დაზუსტება შესაძლებელია მისი განუხორციელობლობის შემთხვევაში, მაგალითად როცა სტუდენტმა ვერ შეასრულა არჩეული საგნების წინაპირობა.

7. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი
   7.1. დადგენილ ვადებში ვერ/არ დააფიქსირებს თავის არჩევანს წინასწარი რეგისტრაციისთვის განკუთვნილ მონაცემთა ბაზაში ;
   7.2. დადგენილ ვადებში ვერ/არ გაივლის კონსულტაციას სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან და ვერ/არ მოხდება საბოლოო შეთანხმება დასარეგისტრირებელი საგნების შესახებ;
   7.3. ვერ/არ გაივლის ადმინისტრაციული რეგისტრაციას დადგენილ ვადებში;
   7.4. ვერ შეასრულებს რომელიმე არჩეული საგნის წინაპირობას,

   მაშინ სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია სტანდარტული წესის შესაბამისად აკადემიური რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში დარჩენილი რესურსის ფარგლებში.